Gmail

Amiran Gagua <amirangagua79@gmail.com>

გლიცერინის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ

Писем: 2

Amiran Gagua <amirangagua79@gmail.com> 22 июля 2022 г., 13:14
Кому: "pharm2022 spa.gov.ge" <pharm2022@spa.gov.ge>

მოგესალმებით,

მოგმართავთ აჭარის ა/რ განათლებისკულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოდან (ს/კ 245429610)და გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულისააგენტოს თავმჯდომარის მიმდინარე წლის 22 თებერვლის N329/ს ბრძანების საფუძველზე „მიწის ნაკვეთებზეუფლებათა სისტემური და სპორადულირეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფისშესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მიწის სისტემური და სპორადული რეგისტრაციისფარგლებში საარქივო სამმართველომ უნდა უზრუნველყოს სამმართველოსტერიტორიულ ორგანოებში(ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს არქივები) დაცული კომლების ქონებრივიმდგომარეობის შესახებ (საარქივო ცნობები საკომლო ჩანაწერების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტები, მიწისგანაწილების სიები, საგადასახადო სიები, გაყრილობისგანაჩენები და ა.შ.) ინფორმაციის მიწოდება.

აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში საჭირო გახდა საარქივო დოკუმენტაციის რესტავრაცია-მოწესრიგება, რა დროსაც ლაბოპრატორიის მიერ სხვა სახის პრეპარატებთან ერთად გამოიყენება სამედიცინო გლიცერინი. ვინაიდან სამედიცინო გლიცერინის საჭიროება განაპირობა ზემოთ აღნიშნულმა საკითხმა, მისი გათვალისწინება თავის დროზე ბუნებრივია ვერ მოხდებოდა და შესაბამისად კონსოლიდირებულ ტენდერში გათვალისწინებული არ არის ჩვენი ორგანიზაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მივმართეთ კონროლიდირებულ ტენდერში (CON210000637) გამარჯვებულ კომპანიას (შპს „პსპ ფარმა“), რომელმაც უარი განაცხადა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გლიცერინის მოწოდებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ჩვენი ორგანიზაცია არ არის გათვალისწინებული დანართ N2-ში. ამასთან შემოგვთავაზა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის მოწოდება და წარმოგვიდგინა შესაბამისი ინვოისი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დაგვრთოთ ნება, ჯამში 57.04 (ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 4 თეთრი) ლარად, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შევისყიდოთ 80 ცალი (25 მლ-ანი შეფუთვა) სამედიცინო გლიცირენი.

დანართი 4 (N01-19/453 მოხსენებითი ბარათი, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან მიმოწერა და ინვოისი) ფურცელზე

პატივისცემით,
სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ამირანგაგუა

Приложений: 3

მოხსენებითი ბარათი 01-19 453.pdf
124K

ივოისი შპს „პსპ ფარმა“.pdf
934K

მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან.pdf
994K

pharm2022 spa.gov.ge <pharm2022@spa.gov.ge> 22 июля 2022 г., 14:52
Кому: Amiran Gagua <amirangagua79@gmail.com>

მოგესალმებით,

თქვენი წერილის (**From:** Amiran Gagua [mailto:amirangagua79@gmail.com] **Sent:** Friday, July 22, 2022 1:15 PM **To:** pharm2022 spa.gov.ge <pharm2022@spa.gov.ge>) პასუხად გაცნობებთ, რომ 2022 წლის სახსრებით ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის 10.1. პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის მიხედვით, გამარჯვებული მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს დამატებითი ვალდებულების ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმებაზე, იმ შემსყიდველ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციასა და შესაბამის დანართებში ან სრულად აითვისეს მათთვის განკუთვნილი რაოდენობა. შესაბამისად, თუ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი უარს აცხადებს ***„Glycerol 25მლ ფლაკონი“-ის*** **(CPV 33600000)** თქვენთვის მოწოდებაზე, 2021, 2022 და 2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების კონსოლიდირებული ტენდერების კომისია ითვალისწინებს თქვენი ორგანიზაციის მომართვას და იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურების გამართული ფუნქციონირება მოქალაქეებისთვის შესაბამისი დახმარების გასაწევად, გაძლევთ თანხმობას შეისყიდოთ აღნიშნული საქონელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ 2021, 2022 და 2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების კონსოლიდირებული ტენდერების კომისია არ არის უფლებამოსილი მოგცეთ რეკომენდაცია შესყიდვის კონკრეტულ საშუალებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უნდა იმოქმედოთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პატივისცემით,

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	State Procurement Agency
მისამართი: რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. N8	Address: Richard Holbrooke Str. N8
0113, თბილისი, საქართველო	0113, TBILISI, GEORGIA
ტელ.: +322 224 22 48 (39)	Tel: +322 224 22 48 (39)
Web: www.procurement.gov.ge	Web: www.procurement.gov.ge

[Цитируемый текст скрыт]